ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2023 წლის I კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 3 262,5 ათ. ლარი, ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისათვის იყო 3 573,8 ათ. ლარი საიდანაც სამ თვეში გაიწერა 1 303,0 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის I კვარტლის გეგმამ შეადგინა 4 565,4 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 3 262,5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 1 854,5 ათ. ლარი (57%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 11,0 ათ. ლარი - ფაქტი -43,6 ათ. ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 1 717,0 ათ. ლარი - ფაქტი 1 636,2 ათ. ლარი (95%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 1 489,2 ათ. ლარი - ფაქტი 135,5 ათ. ლარი (9%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 45,3 ათ.ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 126,4 ათ.ლარი (279%), აქედან: პროცენტის გეგმა 27,0 ათ. ლარი - ფაქტი 53,9 ათ. ლარი (200%); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის გეგმა 5,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,3 ათ. ლარი (726%); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან გეგმა 2,0 ათ. ლარი - ფაქტი 2,6 ათ. ლარი (130%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 2,5 ათ. ლარს ფაქტი 0,8 ათ. ლარი (33%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 2,4 ათ. ლარი - ფაქტი 1,1 ათ. ლარი (46%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 0,1 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 6,4 ათ. ლარი - ფაქტი 4,9 ათ. ლარი (76%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე შემოვიდა 26,6 ათ. ლარი;

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის I კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 4 565,4 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 2 236,8 ათ. ლარი (49%) აქედან:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შადგინა 882,1 ათ. ლარი - ფაქტი 783,7 ათ. ლარი (89%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 243,6 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 230,2 ათ. ლარი (94%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 595,3 ათ. ლარი - ფაქტი 521,6 ათ. ლარი (88%); სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის გეგმა 28,9 ათ. ლარი - ფაქტი 26,5 ათ. ლარი (92%); სარეზერვო ფონდის გეგმა 8,8 ათ.ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,5 ათ. ლარი - ფაქტი 5.5 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 2 915,9 ათ. ლარი - ფაქტი 797,2 ათ. ლარი (27%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 674,3 ათ. ლარი - ფაქტი 9,9 ათ. ლარი (2%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 116,7 ათ. ლარი - ფაქტი 74,7 ათ. ლარი (64%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაცია გეგმა 32,2 ათ. ლარი - ფაქტი 22,3 ათ. ლარი (69%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსება 24,0 ათ. ლარი - ფაქტი 6,5 ათ. ლარი (27%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 18,0 ათ. ლარი - ფაქტი 18,0 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 80,0 ათ. ლარი - ფაქტი 63,7 ათ. ლარი (79%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 1,0 ათ. ლარი - ფაქტიურად არ გახარჯულა;

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 7,3 ათ. ლარი - ფაქტი 7,3 ათ. ლარი (100%);

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია გეგმა 401,7 ათ. ლარი - ფაქტი 49,5 ათ. ლარი (12%);

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 784,3 ათ. ლარი - ფაქტი 261,5 ათ. ლარი (33%);

- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა გეგმა 121,6 ათ. ლარი - ფაქტი 78,6 ათ. ლარი (64%);

- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 510,6 ათ. ლარი - ფაქტი 184,2 ათ. ლარი (36%);

- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 31,0 ათ.ლარი - ფაქტი 12,1 ათ.ლარი (39%);

- ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით გაწეული ხარჯების გეგმა 113,2 ათ.ლარი - ფაქტი 8,8 ათ.ლარი (8%).

დასუფთავება და გარემოს დაცვის - გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 188,4 ათ. ლარს, ფაქტი 170,5 ათ. ლარი (90%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანა გეგმა 167,4 ათ. ლარი - ფაქტი 160,6 ათ. ლარი (96%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურისათვის გამოყოფილი სუბსიდის გეგმა 21,0 ათ. ლარი, ფაქტი 9,9 ათ. ლარი (47%);

- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები პირველ კვარტალში არ არის დაგემგილი;

განათლების ღონისძიებების დაფინანსების - გეგმა 176,5 ათ.ლარი - ფაქტი 159,0 ათ.ლარი (90%);

- სკოლამდელი განათლება ბაგა-ბაღების დაფინანსების გეგმა 112,5 ათ. ლარი - ფაქტი 107,6 ათ. ლარი (95%);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა გეგმა 63,0 ათ. ლარი - ფაქტი 51,4 ათ. ლარი (81%);

- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის პროგრამის გეგმა 1,0 ათ.ლარი, რომელიც პირველ კვარტალში არ გახარჯულა;

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 247,9 ათ. ლარი - ფაქტი 195,4 ათ. ლარი (79%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი გეგმა 45,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,3 ათ. ლარი (81%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 26,5 ათ. ლარი - ფაქტი 18,2 ათ. ლარი (69%);

- რაგბის ჯგუფის დაფინანსებისათვის გამოყოფილი სუბსიდიის გეგმა 6,0 ათ.ლარი, პირველ კვარტალში ხარჯი არ გაწეულა;

- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 2,0 ათ.ლარი - ფაქტი 0,7 ათ.ლარი (35%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის გეგმა 14,2 ათ. ლარი - ფაქტი 13,8 ათ. ლარი (97%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა გეგმა 12,1 ათ. ლარი - ფაქტი 11,4 ათ. ლარი (94%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 64,0 ათ. ლარი - ფაქტი 57,8 ათ. ლარი (90%);

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება გეგმა 15,9 ათ. ლარი - ფაქტი 14,3 ათ. ლარი (90%);

- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 21,5 ათ. ლარი - ფაქტი 20,5 ათ. ლარი (95%);

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსება გეგმა 10,3 ათ. ლარი - ფაქტი 9,3 ათ. ლარი (90%);

- კულტურული ღონისძიებების დაფინანსება გეგმა 4,8 ათ. ლარი, ფაქტი 1,8 ათ. ლარი (37%);

- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 17,4 ათ. ლარი - ფაქტი 11,2 ათ. ლარი (64%);

- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 8,2 ათ.ლარი, პირველ კვარტალში ხარჯი არ გაწეულა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 154,6 ათ. ლარი - ფაქტი 131,0 ათ. ლარი (85%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გეგმა 13,8 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (61%);

- სოციალური უზრუნველყოფა გეგმა 140,8 ათ. ლარი - ფაქტი 122,6 ათ. ლარი (87%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ქ.ონში მერიის შენობაში არსებული გათბობის ქვაბების დემონტაჟი და ახალის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებზე 28,6 ათ. ლარი, ონის მუნიციპალიტეტის მერიის სახელზე რიცხული ავტომობილ PRADO-ს შეკეთებისთვის 2.6 ათ ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.04.2023წ.) ნაშთი შეადგენდა 3 191 5 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 1 163,4 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 2 028,1 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი